მაღალი ზნეობა

ISLAM.GE
IRSIS
მკვლევრებისთვის

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن دولي مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

მაღალი ხმელობა

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

რწმენა და მაღალი ზნეობა განუყოფელია	7
შუამავლის მორალი ყურანი იყო	16
თუ შენ მართალი ხარ, ყველა მართალი იქნება	23
ალალი სარჩო	29
ურთიერთშეთანხმება	34
რაც შენთვის გსურდეს მეგობრისთვისაც ისურვე	43
ხელგაშლილობის ბოლო ზღვარი-ისარ	48
სხვათა უფლებების დაცვა	55
შეცდომის გამოსწორება და ბოდიშის მოხდა	64
მადლიერება ადამიანს ძალიან შვენის	69

muslim georgia
muslim georgia
muslim international charity foundation
muslim georgia

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

რწმენა და მაღალი ზნეობა

გამუყოფელია

ეუდერ ოქუმუშ

მორალი, როგორც რწმენასა და აზროვნებას დაქვემდებარებული სისტემა, ცოცხალ არსებებს შორის მხოლოდ ადამიანს ახასიათებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მორალის აუცილებლობა ადამიანების ერთად ცხოვრებამ განაპირობა. ადამიანები ერთად რომ არ ცხოვრობდნენ მორალის საჭიროება არ იქნებოდა. ეს პირიქითაც შეგვიძლია ვთქვათ: თუ არ იქნებოდა მორალი, ადამიანები ერთად ცხოვრებას ვერ შეძლებდნენ. გამომდინარე აქედან მორალი საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელი პირობაა.

მართლაც და მორალური პრინციპების გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია. ადამიანების ერთ სივრცეში ცხოვრება მორალური პრინციპებისა და ღირებულებების შედეგადაა შესაძლებელი. ადამიანებმა მორალის გავლენით იციან რა სიტუაციაში როგორ მოიქცნენ, რა

შეიძლება და რა არა. ამრიგად, ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება, მხოლოდ და მხოლოდ მაღალი ზნეობის შედეგადაა შესაძლებელი.

მორალის როლი ასევე დიდია არამარტო ადამიანების, არამედ ერების ცხოვრებაშიც. ბევრი ერის დეგრადირება სწორედაც რომ მორალურმა დაცემამ გამოიწვია. მაღალი ზნეობა არის ის ძალა, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას აწესრიგებს.

შუამავალი ზნეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ადამიანებს გააზრებული რწმენისკენ მოუწოდებდა. მისი რჩევების გათვალისწინებით რასაც ვაკეთებთ გააზრებულად უნდა გავკეთოთ და ჩვენმა მორწმუნეობამ ჩვენი პიროვნება და ქცევები უნდა გააკონტროლოს.

საზოგადოებრივი განვითარება, ბედნიერება და კეთილდღეობა მაღალ ზნეობაზეა დამოკიდებული. ჩვენი საზოგადოების ისტორიულ, კულტურულ და სოციალურ რეალობას თუ გავითვალისწინებთ, საზოგადოების არსებობისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი რამ, რასაც მორალი ჰქვია, ისლამის საფუძვლებს ემყარება. ისლამი მუსლიმებისაგნ ითხოვს მაღალ ზნეობას, რომელიც გააზრებულ მორწმუნეობაში გამოიხატება. ისლამის მიხედვით მაღა-

ლი ზნეობა რწმენის ერთ-ერთი განზომილებაა. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ ისლამის მიხედვით მაღალი ზნეობა და მორწმუნეობა ერთიმეორის გარეშე წარმოუდგენელია.

რწმენისა და მორალის განუყოფლობა

ყველა სარწმუნოებას აქვს მორალური დებულებები, რომელთა ფარგლებშიც ადამიანის ქცევებს განიხილავს და ამ ქცევების დადგენილ პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანას ისახავს მიზნად. მორწმუნე საზოგადოება თავის ფიქრსა და ქცევებში რელიგიას, რწმენასა და მორალს ერთ მთლიანობაში გამოხატავს. ისლამური მორალის შემთხვევაში მორალის წყარო თავად ისლამი და ღმერთისადმი რწმენაა და უფრო მეტიც, ღმერთის რწმენა და მაღალი ზნეობა განუყოფელია. ყურანში ნაბრძანებია:

„სიკეთე მარტოოდენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სახის მოპყრობით არ შემოიფარგლება. არამედ სიკეთე ისაა, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ანგელოზები, წიგნი და შუამავლები; უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაუ-

რებს, მთხოვნელებსა და მონებს ; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, და ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (ალლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან“. (ბაყარა 177)

ამ აიათით ცხადია, რომ მორალსა და ღმერთის რწმენას შორის პირდაპირი კავშირია. უფრო მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, ისლამის ყველა ბრძანება და აკრძალვა მაღალი ზნეობის წყარო და საფუძველია. ჰზ. აიშე ამბობდა, რომ შუამავლის მორალი ყურანი იყო. შუამავლის ზნეობაზე საუბარია ყურანშიც:

„და უეჭველად, შენ ადგახარ უმაღლეს ზნეობას!“ (კალემ 4)

ბუჰარის ცნობილ ნაშრომში, რომელსაც „ქითაბულ იმან“ ეწოდება, რწმენისა და მორალის შესახებ არსებული ჰადისები ერთადაა თავმოყრილი. რწმენისა და ზნეობის განუყოფლობა რომ კარგად გავიაზროთ შუამავლის შემდეგ ჰადისებს დავაკვირდეთ:

„მორწმუნე რწმენის მხრივ ყველაზე სრულყოფილი და ზნეობით საუკეთესოა და ყველაზე სიკეთიანი ისაა, ვინც ქალე-

ბის მიმართ სიკეთიანობით გამოირჩევა“. (თირმიზი)

„უეჭველად, თქვენს შორის ყველაზე სიკეთიანი ისაა, ვინც ზნეობრივად ყველაზე უკეთესია“. (ბუჰარი და მუსლიმი)

„სიკეთე ლამაზი ზნეობაა. ბოროტება კი გულს აწუხებს და არავის უნდა, რომ მის შესახებ სხვებმა გაიგონ“. (მუსლიმ, ბირ 15)

„უეჭველად, მე მაღალი ზნეობის სრულყოფისათვის მომავლინეს“. (იმამ მალიქ, მუვათთა, ჰუსნილ მულქ 8, 2, 904)

„მუსლიმი ენითაც და ხელითაც სანდო პიროვნებაა“. (ბუჰარი, საჰიჰ, ქითაბულ-იმან)

„ადამიანების სამოთხეში მოხვედრის ყველაზე დიდი მიზეზი ღვთისმოსაობა და მაღალი ზნეობაა“.

„ლამაზი მორალი მღიმარე სახე, ხელგაშლილობა და სხვათა მიმართ ლმობიერებაა“.

„ზნეკეთილობის საზომი ღიმილი, თკბილი სიტყვა, ლმობიერება და თავდაჭერილობაა. ეს ყველაფერი თუ რომელიმე მუშლიმშია შეკრებილი, ის ლამაზი ზნეობის პატრონია“.

ყურანის მიხედვით მორალი, რწმენა და ღვთისმსახურება განუყოფელია. ყურანში ნაბრძანებია, რომ სადაც ზნეობა არ არის, იქ რწმენა და ღვთისმსახურება მნიშვნელობას კარგავს. ყურანში ნათლადაა მითითებული ადამიანის მოვალეობები და ის მიმართულებები, რომლებიც ყოველმა მორწმუნემ უნდა გაითვალისწინოს. რადგანაც მორალი ადამიანის ყველა ქცევას მოიცავს, ბუნებრივია ის ღწმენისა და ღვთისმსახურებისგანაც განუყოფელია.

გამომდინარე აქედან, ისლამს სურს ადამიანებს ჰქონდეთ მაღალი ზნეობა და სწორედ ასეთმა ზნეობრივად ამაღლებულმა ადამიანებმა შექმნან საზოგადოება. ყოველი მუსლიმ აუცილებლად მაღალი ზნეობის მატარებელი უნდა იყოს და მისი ქცევები არაფრის დიდებით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მორალურ პრინციპებს. შესაბამისად მორწმუნე ადამიანი და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი ერთი და იგივე უნდა ყოს. სწორედ ეს არის გულწრფელი მორწმუნოება.

რწმენას, ღვთისმოსაობას, მაღალ ზნეობასა და ცოდნას შორის მნიშვნელოვანი კავშირია. რწმენაზე დაფუძნებული ღვთისმოსაობა წარმოშობს კარგ ქცევებს, რაც მაღალი ზნეობის საფუძველია. მეორეს მხრივ კი მაღალი ზნეობის ცოდნა, სწორად

მოქცევის ცოდნა ღვთისმოსაობას კვებავს, რაც ადამიანის რწმენას აძლიერებს.

რელიგია ადამიანს მოუწოდებს იცხოვროს, როგორც ღვთისმოსავმა. მაგრამ ნამდვილი ღვთისმოსაობისთვის ადამიანს სჭირდება ცოდნა. მცოდნე ადამიანი სარწმუნოებით შეძენილ გონიერებას გამოიყენებს და მაღალი ზნეობის თანხლებით გააზრებულ ღვთისმოსაობას შეძლებს. ამრიგად მორწმუნე ადამიანის ქცევები აბსოლუტურ შესაბამისობაშ იქნება მორალთან. ღვთისმოსავი ადამიანი ყოველთვის ისე მოიქცევა, როგორც მისგან ელოდებიან. ის ყოველთვის სწორად მოიქცევა და იქნება კარგი ადამიანი. თუ ადამიანს თავისი ღვთისმოსაობა ცუდი ქცევებისგან არ იცავს, ესეიგი მას ცოდნა და ზნეობა აკლია. ანუ მას არ გააჩნია საკმარისი ცოდნა საიმისოდ, რომ მიიღოს სარწმუნოებიდან მომდინარე გონიერება და მაღალი ზნეობა.

შუამავალ მუჰამმედის მაღალი ზნეობა

შუამავალ მუჰამედის მაღალი ზნეობა, როგორც საუკეთესო მაგალითი, თითოეულ ჩვენგანისთვის მისაბაძი და გასათვალისწინებელია. რწმენისა და მაღალი

ზნეობის განუყოფლობის იდეალური მაგალითი შუამავალი მუჰამმედი იყო, რასაც მისი ცხოვრება ადასტურებს.

ისლამის სწრაფად გავრცელებაში შუამავლის მაღალი ზნეობის როლი განსაკუთრებულია. ისლამის ხმლით გავრცელების თეორია აშკარა უმეცრება და უნამუსობაა, რომელიც იმდროინდელ ისტორიულ ფაქტებს სრულებით არ შეესაბამება. შუამავლის პატიოსნება და მაღალი ზნეობა იზიდავდა ადამიანებს,რადგან მისი სჯეროდათ.

შუამავლის, ჯერ კიდევ შუამავლის მოვალეობამდელი თვისება, სანდოობა იყო. სანდოობა მაღალი ზნეობის დამადასტურებელი თვისებაა. ყურანი შუამავალს ახასიათებს როგორც საუკეთესო მაგალითს და მისაბაძ წინამძღოლს. აქედან გამომდინარე ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნულ თვისებებს ისლამში. არსებობს მრავალი ჰადისი, რომლებიც სწორედ მაღალ ზნეობას ეხება. შუამავალი მხოლოდ საუბრით არ შემოიფარგლებიდა და ის თავისი ქცევით ადასტურებდა თავის ზნეკეთილობას.

ამიტომაა, რომ მისი მორალი საუკეთესო მაგალითადაა მიჩნეული. გამომდინარე აქედან, როგორ შეგვიძლია დავახასიათოთ შუამავლი მორალი?

ის იყო სანდო, სამართლიანი, თანასწორობის მომხრე, მომდიმარი, თავაზიანი, თავმდაბალი, ფაქიზი ბუნების, მგრძნობიარე, მიმტევებელი, ხელგაშლილი და მუყაითი. ის გმობდა გულქვაობას, უხეშობას და მოურიდებლობას. იცოდა მადლობის გადახდა და ადამიანების გულის მოგება. იყო მორცხვი და მორიდებული. არასოდეს ამბობდა ტყუილს. ყოველთვის იყო მართალი. მიცემულ სიტყვას აუცილებლად ასრულებდა. ის განსაკუთრებული ყურადღებით უფრთხილდბოდა მიბარებულ ამანათს. უყვარდა დახმარება. ადამიანების გამოკვება და მოწყალების გაცემა ძალიან მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა. უსამართლობის წინააღმდეგ შეურიგებელი იყო. იყო შემწყნარებელი და განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა სისუფთავეს.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim international charity

შუამავლის მორალი ყოველთა იყო

ისმაილ ქარაგოზ

„მე მხოლოდ მაღალი ზნეობის სრულყოფისათვის ვარ მოვლენილი“. (აჰმედ, 3, 75)

მორალი ადამიანში კარგ და ცუდ ზნეს გამოხატავს. გამომდინარე აქედან, მორალი შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი. კარგი მორალი ღმერთის სიტყვას, შუამავლის სუნას და გონიერებას დამყარებული დადებითი სიტყვა და ქცევაა. შუამავლის მეგობართაგან აბდულლაჰ იბნ მუბარექი კარგ მორალს შემდეგნაირად განმარტავს: „მომღიმარე სახე, სიკეთის კეთება“.

რაც შეეხება ცუდ მორალს, ეს არის ღმერთის სიტყვის, შუამავლის სუნასა და გონიერების საწინააღმდეგო სიტყვა და ქცევა.

სარწმუნოება მაღალი ზნეობაა და ის რელიგიური ბრძანებებისა და აკრძალულების გათვალისწინებით გამოიხატება.

შუამავალი, როგორც ისლამის გამავრცელებელი, ყველა იმ ბრძანებასა და აკრძალულებს ითვალისწინებდა, რაც რელიგიურად იყო დადგენილი. ამიტომ ღმერთი მის შესახებ ყურანში ბრძანებს:

„და უეჭველად, შენ ადგახარ უმაღლეს ზნეობას!“ (კალემ 4)

თაბერის აზრით აიათში ნახსენები სიტყვა „ზნეობა“ ზრდილობასთან ასოცირდება და ეს ნიშნავს, რომ ღმერთმა შუამავალი ყურანით აღზარდა. მისი ეს მოსაზრება მეოთხე ხალიფას, შუამავლის სიძის, ჰზ. ალის სიტყვებს ეყრდნობა: მისი „უმაღლესი ზნეობა ყურანის მორალია“.

ღმერთი ყურანის მეშვეობით აქებდა შუამავლის მორალს. საიდ იბნ ჰიშამმა ჰზ. აიშეს შუამავლის ზნეობის შესახებ ჰქითხა. მან კი უპასუხა: „მისი მორალი ყურანი იყო“.

შუამავლის მიერ ნაქადაგებმა სარწმუნოებამ სრულყოფილებას მიაღწია და უმაღლესი ზნეობაც ამ სარწმუნოებით გახდა სრულყოფილი.

შუამავალი მორალურ ფასეულობებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ღმერთს მუდმივად სთხოვდა ზნეობრივი სრულყოფა ებოძებინა მისთვის: „ღმერთო მომმად-

ლე საუკეთესო ქცევა და საუკეთესო ზნეობა. საუკეთესო ქცევასა და ზნეობას მხოლოდ შენ მოგვმადლი. ღმერთო დამიფარე ცუდი ქცევისა და ცუდი ზნისაგან. ცუდი ქცევისა და ცუდი ზნისაგან მხოლოდ შენ დაგვიფარავ“. (ნესაი, იჰთითაჰ, 16)

შუამავლის ჰადისებზე დაკვირვებისას აღმოვაჩენთ ხოლმე, რომ ზნეობა მორწმუნის რწმენაში, სიტყვასა და ქცევაშია გამოხატული. ამას ადასტურებს შემდეგი ჰადისებიც: „ყველაზე კარგი მორწმუნენი საუკეთესო მორალის მქონენი არიან“. (ებუ დავუდ, სუნნეთ, 15)

ჰადისებიდან ასევე ცხადია, რომ ადამიანში არსებული რწმენისა და მინდობის სრულყოფილება ზნეობის სრულყოფილებით განისაზღვრება. ადამიანი რაოდენაც ითვალისწინებს მორალურ პრინციპებს, იმდენად მორწმუნეა და რაოდენაც სუსტად აფასებს მორალურ კანონებს, იმდენად მოისუსტებს რწმენაშიც.

ერთხელ შუამავალს ერთ-ერთმა მეგობართაგანმა ჰკითხა თუ რა იყო ისლამი. შუამავალმა უპასუხა: ეს არის ტკბილი სიტყვა, სხვებზე გამასპინძლება და პატივისცემაო. რწმენა რა არისო, ჰკითხა მეგობარმა ისევ. რწმენა მოთმინება და შემწყნარებლობა, უპასუხა შუამავალმა. რწმე-

ნიდან გამომდინარე რომელი ქცევაა საუკეთესო, დაუსვა შემდგი კითხვა მეგობარმა. მაღალი ზნეობა, უპასუხა შუამავალმა.

შუამავალმა თავის ჰადესებში რწმენის, ქცევებისა და მორალის კავშირი ერთიმეორეს მჭიდროდ დაუკავშირა. ჩვენ, როგორც მორწმუნეებს გვევალება ვიყოთ მაღალი ზნეობის მატარებელნი, ვეწეოდეთ ღვთისმსახურებას და თავი ავარიდოთ ყოველგვარ სიგლახეს. ისლამი და რწმენა მთელ სოციალურ ცხოვრებას განაგებს და აწესრიგებს.

ღვთისმსახურება ადამიანის ძირითადი მოვალეობაა. ადამიანი ღვთიმსახურებას, როგორიცაა ნამაზი, მარხვა, მოწყალება, ჰაჯი და სხვა, კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ გარემოში ასრულებს. ასევე მორწმუნეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეასრულოს ისინი, როგორც დამატებითი, არასავალდებულო ღვთისმსახურება. გარდა ამისა, მორწმუნე მუდმივად ასრულებს ღვთის ბრძანებებს, აკეთებს სიკეთეს, არ იტყვის ტყუილს, არ ფარისევლობს, ასევე არ ეკარება დიდ ცოდვებს; ალკოჰოლს, ნარკოტიკს, პროცენტს, აზარტულ თამაშებს და ა.შ.

ისლამში დოგმატურ ღვთისმსახურებას, როგორიცაა ნამაზი, მარხვა და ა.შ. პირველ რიგში აქვს ძირითადი დანიშნულება

და ეს არის ღვთის კმაყოფილების მოპოვება. ამის გარდა ღვთისმსახურება ადამიანის სულიერ წრთვნას ემსახურება და ამავდროულად ის ადამიანს სძენს ზნეობრივ ღირებულებებს. ეს განმარტებულია როგორც ყურანში, ისე შუამავლის ჰადისებში. ყურანში ნაბრძანებია:

„წაიკითხე ის, რაც შთაგეგონა წიგნიდან და აღავლინე ლოცვა. უეჭველად, ლოცვა განდევნის სიავენს და უკეთურს. და რა თქმა უნდა, ალლაჰის ხსენება მნიშვნელოვანია. და ალლაჰი უწყის, რასაც სჩადიხართ!(ანქებუთ 45)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა მარხვა ,როგორც სავალდებულო იყო მათთვის, ვინც თქვენ უწინარეს იყო,ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისგან“. (ბაყარა 183)

შუამავალი მორწმუნეებს ურჩევდა მარხულობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ საკუთარი ქცევებისთვის. თავი შეეკავებინათ ბილწსიტყვაობის, ყვირილის, ლანძღვის, ჩხუბისა და სხვა ნებისმიერი შეუფერებელი ქმედებისგან.

მახვის შესახებ ჰადისები ცხადყოფს, რომ მარხვა ადამიანის ზნეობრივად წრთვნას უწყობს ხელს. თუ მარხვა ადა-

მიანს ცუდი ქცევებისგან არ იცავს, და ამავდროულად სიკეთისკენ მიდრეკილს არ ხდის, გამოდის, რომ მარხვის მიზანი ბოლომდე მიღწეული არ არის. შუამავალი ბრძანებდა: „ვინც ტყუილსა და ფუჭ საქმეს თავს არ გაანებებს, ღმერთს მისგან მხოლოდ ჭამისა და სმისგან თავის განებება არ სჭირდება“. (ბუჰარი, საუმ 9)

„რამდენი მარხული ადამიანია, რომელთა მარხვიდან მხოლოდ შიმშილი რჩება. რამდენი ვინმე ღამეს ლოცვაშ ატარებს, რომელთა ლოცვიდან მხოლოდ უძილობა რჩება“. (იბნ მაჯე 21)

მარხვა სავალდებულო ღვთისმსახურებაა და ის ადამიანს ეხმარება ცოდვების ჩადენისგან თავი შეიკავოს. ეს არის ღვთისმსახურება, რომელიც ადამიანის პიროვნული და სოციალური ცხოვრებისკენ არის მიმართული. გამომდინარე აქედან მორწმუნე, რომელიც ლოცულობს და მარხულობს არ უნდა თქვას ტყუილი, არ იყოს ცრუ მოწმე, არ უნდა იჭორაოს, ცილი არ უნდა დასწამოს, ცუდი სიტყვა არ უნდა თქვას და ა.შ. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვაჭრობისას სისწორეს. ზომასა და წონაში მუშტარი არ უნდა მოვატყუოთ. შეტანხმებები ზუსტად უნდა შევასრულოთ. როგორც კი ადამიანი ღვთით დადგენილი წესისამებრ

მოიქცევა მისი ნალოცი და მარხვა ჯოჯოხეთის ცეცხლისგან დაიცავს.

გამომდინარე აქედან, მორწმუნე ადამიანი, რომელსაც სწამს და სწორად იქცევა, ისლამის ბრძანებებსა და აკრძალულებს ითვალისწინებს, იცის და ითვალისწინებს ალალსა და არამს, ადამიანებთან ინარჩუნებს კეთილ დამოკიდებულებას და არ სჩადის ბოროტებას ზნეობრივად ამაღლებული ადამიანია.

ყურანში ნაბრძანებია:

„მაშ, მტკიცედ იდექი, როგორც გებრძანა, და ვინც მოიქცა შენთან ერთად . და არ გადახვიდეთ ზღვარს. უეჭველად, იგი ხედავს, რასაც სჩადიხართ!“ (ჰუდ 112)

და ბოლოს, სარწმუნოება ეს მაღალი ზნეობაა. სარწმუნოების ყველა ბრძანება სწორედ რომ მაღალი ზნეობის დაცვას ისახავს მიზნად, რაც საბოლოო ჯამში ზნეობრივად ამაღლებულ საზოგადოებას ქმნის. გამომდინარე აქედან მორწმუნე ადამიანი მაღალი ზნეობის მატარებელია. ადამიანის მაღალ ზნეობას რწმენა, ღვთისადმი სიყვარული და ღვთისმოშიშობაა.

თუ შენ მართალი ხარ, ყველა მართალი იქნება

დურაქ ფუსმაზ

ერთგულება, სამართლიანობა, პეტიოსნება და ყოველთვის სიმართლის დაცვა, თუნდაც ეს სიმართლე ზიანს გვაყენებდეს. სწორედ ეს არის ერთგულება. ერთგულება გულის სიღრმიდან მოდის და სხვა გარე ზრახვები მას მხოლოდ დააზიანებს. ერთგული მეგობარი ნამდვილ მეგობარს ჰქვია, რომელიც მეგობრობარს არანაირ სიტუაციაში არ უღალატებს და ბოლომდე ერთგულია. მეგობრებს შორის, მეუღლეებს შორის ერთგულება დიდი ნიჭი და ძალიან მნიშვნელოვანი რამაა.

ერთგულება და ზოგადად მართალკაცობა ყურანში სამ ადგილასაა ნახსენები და ღმერთი ამ სიტყვას შუამავლების იუსუფის, იბრაჰიმისა და იდრისის შესახებ იყენებს:

„„ჰეი, იუსუფ, კაცო მართალო!“ (იუსუფ 46)

„და გაიხსენე წიგნში იბრაჰიმი: უეჭველად, იგი მართალი და ერთ-ერთი შუამავალი იყო!“ (მერიემ 41)

„და ახსენე წიგნში იდრისი : უეჭველად, იგი იყო ჭეშმარიტი შუამავალი!“ (მერიემ 56)

მართალის ანტონიმი მატყუარაა, ხოლო ერთგულისა- მოღალატე. სიმართლე და ერთგულება მუსლიმის მახასიათებელი თვისებებია. შუამავალი ჰადისი მიხედვით შემდეგნაირად ბრძანებდა: „მუნაფიყს (თვალთმაქცი, რომელიც მორწმუნეობას თამაშობს) სამი რამ გამოარჩევს: ლაპარაკის დროს ტყუილს ამბობს, მიცემულ პირობას დაარღვევს და თუ რამეს მიაბარებთ იღალატებს“. (ბუჰარი, იმან 24)

მუსლიმ ადამიანსაც, როგორც ზოგადად ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ცოდვები, მაგრამ მუსლიმი ადამიანი ტყუილს არ ამბობს. არსებობს ჰადისი, რომლის მიხედვითაც შუამავლის პასუხი ტყუილთან დაკავშირებით ძალიან დამაფიქრებელია. შუამავალს კითხეს:

- მუსლიმი შეიძლება იყოს მშიშარა?
- დიახ, შეიძლება. უპასუხა მან.
- მორწმუნე შეიძლება იყოს ძუნწი?
- დიახ, შეიძლება.
- მორწმუნე ტყუილს იტყვის?

- არა. მორწმუნე მატყუარა ვერ იქნება.
- ბრძანა შუამავალმა. (მუვათთა, ქალემ 19)

მართალი სიტყვა

როდესაც სიმართლეს ვახსენებთ, უპირველეს ყოვლისა მართალი სიტყვა, სიმართლის ლაპარაკი გვახსენდება. რა თქმა უნდა ეჭვი არ გვეპარება, რომ ყველაზე მართალი სიტყვა ღმერთს ეკუთვნის. მისი გზავნილები ეჭვსგარეშეა და აბსოლუტური სიმართლეა. ამის შესახებ თავად ყურანშიცაა მითითებული (ნისა 87, 122; ალი იმრან 95) დიახ, ღმერთის სიტყვა ჭეშმარიტებაა. ღმერთი მართალია და მას უყვარს სიმართლე.

სიმართლის ერთ-ერთი გამოხატულებაა, როცა ადამიანი მიცემულ პირობას ასრულებს. ღმერთს სურს, რომ მორწმუნე ადამიანები მართლები იყვნენ, ნათქვამი სიტყვის პასუხისმგებლობას გრძნობდნენ და მიცემული პირობა ყოველთვის შეასრულონ.

„მორწმუნეებს შორის არიან კაცნი, რომელნიც ალლაჰთან დადებული აღთქმის ერთგულნი დარჩნენ. მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც უკვე მოიხადა თავისი მოვალეობა და ისინიც, ვინც ჯერ კიდევ მოელის , მაგრამ არაფრით არღვევენ !“ (აჰზაბ 23)

სიმართლე, სიმართლის მხარდაჭერა დიდი ვალდებულებაა. ყურანში ნაბრძანებია:

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართალთა გვერდით!“ (თევბე 119)

მატყუერა ადამიანს ამქვეყნად არც პატივისცემა ექნება და არც მეგობარი ეყოლება და საიქიოში სასჯელი ელოდება. მართლების კი დაჯილდოვდებიან როგორც ამიერ სოფელს, ისე საიქიოშიც.

სიმართლე შუამავალთა აუცილებელი თვისებაა. შუამავლები მართლები არიან. შუამავლები ღვთიური გზავნილის აგდმოცემასა და სარწმუნოების გავრცელებაშიც მართლები არიან და ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე საკითხებშიც. შუამავლები არასოდეს ამბობენ სიტყვას, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება. შუამავლის სიტყვა ქვეყნიერების დასასრულამდე იარსებებს.

მართალი საქმე

საქმეში, ქცევაში და ქმედებებში სისწორე ნიშნავს ადამიანი იცავდეს მორალის წესებს და არ სჩადიოდეს ცოდვებს. არასწორი ქცევა, ბოროტების ჩადენა მართალი საქმის ფარგლებში ვერ მოიაზრება. ღმერთი ბრძანებს ყველა საქმეში ვიყოთ

მართლები. მუსლიმი საქმეში, სამსახურში, ვაჭრობაში, მოკლედ ყველა სფეროში მართალი და სანდო უნდა იყოს. ასევე ზედმიწევნით სანდო უნდა იყოს მისი შესრულებული სამუშაოც. თუ მუსლიმი ადამიანი ვაჭრობას მისდევს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ალალსა და არამს. მუსლიმი არასოდეს ატყუებს მუშტარს და ყოველთვის ცდილობს კმაყოფილი გაუშვას. შუამავალი აქებდა მართალ ვაჭრებს: „მართალი სიტყვის პატრონი, სანდო ვაჭრები საიქიოში შუამავლებთან, მართლებთან და შაჰიდებთან ერთად იქნებიან.“ (თირმიზი, ბუიუ 4; იბნ მაჯე, თიჯარეთ 1)

მართალი მიზანი, განზრახვა

ჩვენს სარწმუნოებაში განზრახვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყოველ ჩვენს ქცევას, გაკეთებულ საქმეს და ღვთისმსახურებას განზრახვა სძენს მნიშვნელობას და ფასს. ამიტომ ამბობდა შუამავალი, საქმის ღირებულებას მიზანი განსაზღვრავსო. ან კიდევ: „საქმეს რა მიზანიც ჰქონდა, გადაწყვეტილებას იმის მიხედვით მიიღება“.

ზოგჯერ ადამიანი კარგი რამის გაკეთებას განიზრახავს, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ მოახერხებს.

ასეთ შემთხვევაშიც ღმერთი მას მადლს მიანიჭებს, რადგან მისი განზრახვა კეთილი იყო. შუამავლი ჰადისებში ბრძანებდა:

„მედინაში არიან ისეთ ადამიანები, რომლებიც ამ გზებზე თქვენთან ერთად არიან. ისინი ავადმყოფობამ აიძულა და ამ ლაშქრობაში ვერ წამოვიდნენ“.

სინამდვილეში სიკეთე, სიმართლე, სილამაზე თავდაპირველად ადამიანის განზრახვაში, გრძნობებში იბადება და მერე განხორციელდება სიტვასა თუ ქცევაში. ვინც სიკეთეზე ფიქრობს, ის სიკეთეს გააკეთებს. ვინც ბოროტებაზე ფიქრობს, ბუნებრივია ის ბოროტებას ჩაიდენს.

სიმართლე და წესიერება ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მეგობრობაში, ოჯახშ, სამსახურში, ქუჩაში, მოკლედ ყველაგან ძალიან მნიშვნელოვანია. სიმართლე წარმოშობს სანდო გარემოს, რაც სიმშიდის და უსაფრთხოების გარანტია. სადაც არ არის სიმართლე, იქ არც სანდოობაა და შესაბამისად არც რაიმე იქნება კარგი და ღირებული.

ალალი სარჩო

მეჰმედ შექერ

ადამიანი დედამიწაზე გაჩენის დღიდან მუდმივად თავის რჩენისთვის იბრძვის და ცხოვრების გაგრძელებისთვის ჯაფას არ იშურებს. მისი ეს მდგომარეობა, ისედაც ღვთით დადგენილი კანონია. ადამიანი ალალი სარჩოსთვის უნდა იღწვოდეს და მხოლოდ და მხოლოდ პატიოსანი გზებით უნდა მოიპოვოს სარჩო.

სარჩოს მოპოვების პროცესში ადამიანი აუცილებლად უნდა უფრთხილდებოდეს სხვათა უფლებებს. ის ვალდებულია არც საკუთარი და არც სხვათა უფლებები არ შელახოს.

ყურანი ადამიანებს აფრთხილებს არ დაარღვიონ სხვათა უფლებები და არასწორი გზებით შემოსავლის მიღებას არ შეეცადონ. ყურანი ასევე კრძალავს ქონების მიმართ გადაჭარბებულ სიყვარულს. წარმოგიდგენთ რამოდენიმე აიათს:

„არაკანონიერად არ შეუჭამოთ ერთმანეთს ქონება და არ ჩაიდინოთ შეგნებულად ეს; ქრთამი არ მისცეთ მსაჯულთ, რათა ხალხს ქონების ერთი ნაწილი შეუჭამოთ უსამართლოდ“. (ბაყარა 188)

„რომელმაც ქონება მოიხვეჭა და აგროვებს,

და თვლის, რომ სიმდიდრე სამარადჟამოდ აცოცხლებს!“ (ჰუმეზე 2-3)

„ვაი მათ, რომელნიც საწყაოსა და წონას აყალბებენ!

რომელნიც ყიდვის დროს ხალხისგან ზუსტად მოითხოვენ!

და როცა სხვებს მიუზომავენ ან მიუწონიან, წონას აკლებენ!

ნუთუ არ ფიქრობენ ისინი, რომ ერთ დღეს უნდა აღსდგნენ,“ (მუთაფიფინ 1-4)

სხვათა უფლებების დაცვის გათვალისწინებით ადამიანი ვალდებულია იშრომოს და ალალი სარჩო მოიპოვოს. ადამიანი „ისე უნდა შრომობდეს ამქვეყნისთვის, თითქოს უკვდავი იყოს, და ისე უნდა იღვწოდეს საიქიოსთვის, თითქოს ხვალ უნდა მოკვდეს“. ამ პროცესში კი ადამიანი მუდ-

მივად მადლიერი უნდა იყოს იმისთვის, რაც ღმერთმა უბოძა.

ადამიანი ბუნებით გაუმაძღარია. რაც არ უნდა მეტი ჰქონდეს, უფრო მეტს მოიმდომებს. საამისოდ შინაგანი მზაობა აქვს, მაგრამ მას არასოდეს უნდა დაავიწყდეს, რომ სამყაროში ყველა და ყველაფრის რეალური პატრონი ღმერთია და ის იმდენს გვწყალობს, რამდენიც სურს.

შუამავალი ბრძანებდა რომ ნამდვილი სიმდიდრე არა ფულის სიმრავლე, არამედ გულის სიმდიდრეა.

ამავდროულად შუამავალი მოუწოდებდა მორწმუნეებს, რომ ეშრომათ და წელგამართული ყოფილიყვნენ. ის ამბობდა, რომ მათხოვრობა და სხვების კისერზე ჩამოკიდება სასურველი გზა არ იყო.

ნებისმიერი შემოსავალი, რასაც მისლიმი მიიღებს, ვაჭრობით იქნება თუ სხვა საქმიანობით, აუცილებლად პატიოსანი გზებით უნდა იყოს მოპოვებული. ისლამში ასევე დადგენილია მოგების ზედა ზღვარი.

მუსლიმი ასევე ვალდებულია პატიოსნად უთხრას მყიდველს საქონლის ნაკლი და არ მოატყუოს. მუსლიმი არ უნდა შეეცადოს ისეთი საქონლის გაყიდვას, რო-

მელიც გაფუჭებულია, ან მომხმარებლის მოტყუებას და უკმაყოფილებას გამოიწვევს.

მუსლიმი არ უნდა იყოს ხარბი. დაუშვებელია სხვისი ქონების ან შემოსავლის გამო შურიანობა. მუსლიმმა იცის, რომ სარჩოს მბოძებელი ღმერთია და მისი მადლიერია.

არსებობენ ადამიანები, რომლებმაც ეს ყველაფერი არასათანადოდ გაიგეს. ისინი ამბობენ, რომ რახან ყველაფრის მომცემი ღმერთია, არაფერს გავაკეთებთ და დაველოდებით, ღმერთი მაინც მოგვცემსო. ამგვარი დამოკიდებულება სრულიად მცდარია. ისლამი კრძალავს უმოქმედობას და სიზარმაცეს. ამას ადასტურებს შემდეგი აიათი:

„და რომ არფერია ადამიანი, გარდა იღვწოდა რასაც.

და უეჭველად, გარჯა მისი სულ მალე დანახულ იქნება.

მერე მიეგება მას საზღაური სრულად“. (ნეჯმ 39-41)

აიათიდან გამომდინარე ადამიანს მხოლოდ პატიოსანი გარჯა დაუფასდება და მიეგება ის, რასაც იმსახურებს.

მუსლიმი არამარტო საკუთარი შემოსავლისსთვის ზრუნავს, არამედ ის ეხმარება სხვა ადამიანებსაც და ხელს უწყობს წარმატებას მიაღწიონ. მუსლიმს უნდა ჰქონდეს იმდენი გულისხმიერება, რომ თუ მუშტარი მხოლოდ მასთან მიდის და ჯერ მის გვერდით მყოფ მაღაზიას ჯერ რამე არ გაუყიდია, მუშტარი მასთან გააგზავნოს.

თუ მუსლიმები საქმიანობის დროს ასეთნაირად მოიქცევიან, შეიქმნება გარემო, სადაც აღარ იქნება შური და გაუტანლობა. ადამიანები მხოლოდ ურთიერთპატივისცემასა და თანადგომას ისწავლიან. ასეთ გარემოში მოგებული სარჩოც ალალი იქნება და ყველა კმაყოფილი დარჩება.

muslimgeorgia
muslim georgia foundation
international charity

ურთიერთშეთანხმება

ფარუქ ბეშერ

1. ურთიერთდახმარება და საჩუქრები

მიუხედავად სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა ადამიანები ისეთ ურთიერთობაში უნდა იყონ ერთმანეთთან, რომ შექმნან ჯანსაღი და კომუნიკაბელური საზოგადოება. საზოგადოება, სადაც ურთიერთდახმარება და ჯანსაღი ურთიერთობები არ არის, რაც არ უნდა მდიდრებით იყოს დაკომპლექტებული, მაინც სიმშვიდისა და კეთილდღეობის მიღმა დარჩება. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება უსამართლობა, მდიდრებსა და ღარბებს შორის მკვეთრად გამოხატული კონტრასტულობა, რაც გამოიწვევს მასობრივ უკმაყოფილებას და არეულობებს.

ყურანი ადამიანებს მოუწოდებს სიკეთისა და ღვთისმოსაობის გზას არ გადაუხვიონ და ერთმანეთს ხელი გაუწოდონ. სიკეთისა და ღვთისმოსაობის გზით ურ-

თიერთთანადგომა მრავალი მიმართულების შეიძლება იყოს. განათლებულმა ადამიანმა სხვებს თავის ცოდნით უნდა დაეხმაროს, მდიდარმა ფულით, ძლიერმა ძალით და ასე შემდეგ. ამრიგად, ადამიანები ერთი სხეულის მსგავს საზოგადოებას შექმნიან. შუამავალი ბრძანებდა: ადამიანები, ურთიერთგაგების, სიყვარულისა და დახმარების გათვალისწინებით ერთი სხეულის მსგავსნი არიან. როდესაც სხეულს ერთი რომელიმე ორგანო ასტკივდება, სხეულის სხვა ნაწილები განგაშს ატეხენ.

„მუსლიმი მუსლიმის ძმა“. (ბუჰარი, მეზალიმ 3)

შუამავალი ბრძანებდა, რომ მორწმუნე მუსლიმი ჩაგრულსაც უნდა დაეხმაროს და მჩაგვრელსაცო. მჩაგვრელს რატომო, ჰკითხეს მეგობრებმა. მჩაგვრელს ხელი უნდა ჩაჰკიდოთ და ძალადობაზე ხელი უნდა ააღებინოთო.

ურთიერთდახმარების კიდევ ერთი გამოხატულებაა საჩუქრები. შუამავალი მოუწოდებდა ადამიანებს, რომ ერთიმეორისთვის საჩუქრები მიერთმიათ. საზოგადოებაში თუ ეს წესი დამკვიდრდება და ადამიანები ასე მატერიალურად ერთიმეორეს გაახარებენ, მათ შორის სულიერი სიახლოვე ჩამოყალიბდება.

ჩვენს საზოგადოებაში დღესასწაულებზე და სხვა განსაკუთრებული თარიღების დროს საჩუქრების ჩუქება საკმაოდ ფესვგადგმული ტრადიციაა. სასურველია ადამიანები სხვა დროსაც არ იშურებდნენ საჩქუქრებს,რაც საზოგადოებრივი კეთილგანწყობისთვის საკმაოდ დადებითი ეფექტის მომტანია.

2. ვალი

ისლამში არსებობს მიღებული ვალი და ასევე არის მიუღებელი ვალი, რომელშიც პროცენტით გასესხებული ფული იგულისხმება. გარდა ამისა, ვალი შეიძლება წარმოიქმნას საქონლის ნისიად ყიდვისას.

ყურანის მიხედვით პროცენტი სასტიკად აკრძალულია. გარდა ამისა ისლამი მოუწოდებს მორწმუნეებს დაეხმარონ ერთმანეთს და გაჭირვებაშ ცავარდნი ძმას ხელი გაუწოდონ. პროცენტის გარეშე ფულის სესხება, ხელის გამართვა და თანადგომა კარგი ქცევებია და საზოგადოებაში კეთილგანწყობის დამკვიდრებას უწყობს ხელს. ასეთი გულკეთილი ქცევა მუსლიმი ადამიანის შესაფერისი ქცევაა.

მნიშვნელობა აქვს მსესხებელის მდგომარეობასაც. მსესხებელს ნამდვილად უნდა სჭირდებოდეს ფულის სესხება, რათა

ეს პროცესი ყოველმხრივ დადებით მოვლენად ჩაითვალოს. თუ გაჭირვებაში ჩავარდნილი ვალს ვერ აბრუნებს გამსესხებელმა სასურველია რომ ადროვოს და არ შეაწუხოს. უფრო მეტიც, თუ ვალის დაბრუნება აღარ შეუძლია გამსესხებელმა სასურველია ეს ვალი საერთოდ აჩუქოს. ამავდროულად შუამავალი ბრძანებდა: „თქვენგან ყველაზე რჩეული ისა, ვინც ვალს საკუეთესო ფორმით იხდის“. შესაბამისად ეს პროცესი გონივრულ და პატიოსანი მიდგომებით უნდა დარეგულირდეს.

თუ არ იქნება პროცენტი შესაბამისად ბიზნესში უფრო მეტი თანხა დაბანდდება და წარმოება გაიზრდება. ეს თავის მხრივ მომხმარებლისთვის სასიკეთოდ აისახება ფასებზე. ამასთანავე შემოსავლებიც უფრო სამართლიანად გადანაწილდება.

მდიდრები თუ მოგებული ფულიდან ღარიბებსაც დაეხმარებიან ამ უკანასკნელთა თვალში პატივისცემას დაიმსახურებენ. ეს კი თავის მხრივ შეამცირებს კლასობრივ შუღლსა და გაუტანლობას.

3. მოწყალება

თანადგომა სოციალური სტაბილურობის ცამოყალიბების პროცესში მნიშნელოვან როლს თამაშობს.

თანამედროვე სოციალური სტაბილურობის ერთ-ერთი აუცილებელი პრინციპი ვალდებულებაა. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით მოწყალება „მორალურ ვარდნის“ მიზეზი ხდება. სოციალური დახმარებები სოციალური სტაბილურობის პროცესში არსებულ სიცარიელეებს ავსებს.

თანამედროვე მიდგომებისგან განსხვავებით, ისლამის მიხედვით მოწყალებას განსხვავებული მნიშნელობა გააჩნია. ეს საკითხი დამოკიდებულია აგრეთვე ადამიანის გარე სამყაროსთან მიმართებაში დამოკიდებულებაზე. წარმოგიდგენთ აიათებს:

„და უთუოდ მოგეკითხებათ იმისათვის, რასაც სჩადიოდით!“ (ნაჰლ 93)

„მოვა (ანგარიშსწორების) დღე, როცა ყველა სული, რაც სიკეთე ჩაუდენია და რაც სიავე ჩაუდენია, მზად ჰპოვებს ,„ (ალი იმრან 30)

„და სრულად მიეგო ყოველ სულს, რაც ჰქმნა. და იგი უკეთ უწყის იმას, რასაც სჩადია“. (ზუმერ 70)

გამომდინარე აქედან მოწყალების გაცემის თვალსაზრისით ადამიანი მხოლოდ სინდისის კარნახზე არ არის დამოკიდე-

ბული და მას გააჩნია ვალდებულებებიც. შესაბამისად მოწყალების დროს ადამიანი საკუთარი ნებით და სინდისის კარნახით გასცემს დახმარებას და ამავდროულად იმედი აქვს, რომ მისი ეს ქმედება ღვთის წინაშე დაფასდება.

მოწყალების გაცემა ყველას ევალება. ეს შეიძლება ქონებით გაუმაძღარი ადამიანის ფსიქოლოგიისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდეს და ის მუდმივად მაღლა იყურებოდეს და თვლიდეს, რომ ჯერ იმდენი არ დაუგროვებია, რომ მოწყალება გასცეს.

როდესაც შუამავალი მექადან მედინაში გადავიდა, ქუბას მეცეთში პირველივე ქადაგებისას ისაუბრა საზოგადოებაში და სახელმწიფოში შემოსავლების გეგმაზომიერად გადანაწილების აუცილებლობასა და სიკეთეზე. შუამავლის რჩევების მიხედვით ადამიანს რამდენიც შეუძლია, იმდენი უნდა გასცეს და თუ საერთოდ იმდენად ღარიბია, რომ ვერაფერს გასცემს, მაშინ კეთილი სიტყვა, ღიმილიც კი მოწყალებად თვლება. შუამავლის ქადაგებების მიხედვით მატერიალური დახმარება სულიერ კავშირებს აჯანსაღებს და საზოგადოებაში სიმშვიდე და სტაბილურობა ისადგურებს. ცნობილია, რომ იმ დროს მედინელმა ადგილობრივებმა შეიფარეს მუჰაჯირები და ძმებად მიიღეს. გაუნაწილეს საცხოვრებელი და

საკვები. ეს იყო მანამდე უპრეცენდენტო შემთხვევა.

ისლამის მიხედვით მოწყალება, ქველმოქმედება ძალიან მნიშნელოვანია და ყურანშიც ხშირადაა ნახსენები:

„უეჭველად, მოწყალების გამცემ კაცებს და მოწყალების გამცემ ქალებს და რომელთაც ასესხეს ალლაჰს კეთილი სესხი, ორმაგად უკან დაუბრუნდებათ და მათთვისაა საზღაური კარგი“. (ჰადიდ 18)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიღეთ (გახარჯეთ) რაც თქვენ გიბოძეთ იქიდან, სანამ მოსულა დღე, რომელშიც არც ვაჭრობა, არც მეგობრობა და არც შუამდგომლობა არ იქნება. და ურწმუნონი არიან უსამართლონი “. (ბაყარა 254)

„და ვინაა სარწმუნოებით უფრო უკეთესი იმაზე, ვინც ჩააბარა თავისი თავი ალლაჰს. ის კეთილისმქმნელია და გაჰყვა იბრაჰიმის რელიგიას, როგორც ერთმორწმუნის და ალლაჰმა იბრაჰიმი გამოარჩია მეგობრად“. (ნისა 125)

მოწყალება და სამართლიანი დამოკიდებულების ვალდებულება მხოლოდ მორწმუნეებს სცილდება და ის ყველა ადამიანს ეხება. შუამავალი ბრძანებდა, რომ გაცემუ-

ლი მოწყალება ჯერ ღმერთტან მიდიოდა და შემდეგ ადრესატს გადაეცემოდა. შუამავალი ასევე ამბობდა: „ღმერთი არ გიკრძალავთ სიკეთე გაუკეთოთ და სამართლიანნი იყოთ მათ მიმართ, ვინც რელიგიის გამო არ გებრძოდათ და სამშობლოდან არ გამოუძევებიხართ“. ღმერთს უყვარს სამართლიანნი“.

ყურანში ნაბრძანებია:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაეცით იმ საუკეთესოთაგან, რაც მოიხვეჭეთ და რაც მიწიდან აღმოვაცენეთ თქვენთვის. და არ განიზრახოთ მისგან ყველაზე ცუდი გასაცემად, რისი ამღებიც არ იქნებოდით თქვენ, გარდა თვალმოხუჭვისა. იცოდეთ, რომ ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!“ (ბაყარა 267)

„ეშმაკი სიღატაკეს გპირდებათ და სიგლახეს გიბრძანებთ თქვენ. ხოლო ალლაჰი თავის მიტევებასა და წყალობას გპირდებათ. და ალლაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისმცოდნეა!“ (ბაყარა 268)

„ღარიბთათვისაა , რომელთაც თავი მიუძღვნეს ალლაჰის გზას და არ შეუძლიათ შემოიარონ დედამიწა . უვიცთ მდიდარნი

ჰგონიათ ისინი მათი თავმდაბლობიდან გამომდინარე, შენ გამოიცნობ მათ მათივე სახეებიდან, მოწყალებას არ სთხოვენ ხალხს დაჟინებით. და რა სიკეთესაც გაიღებთ, უეჭველად, იცის ის ალლაჰმა.

„რომელნიც გასცემენ მოწყალებას თავიანთი ქონებიდან ღამითა თუ დღისით, ფარულად თუ აშკარად, სწორედ, იმათ აქვთ საზღაური თავიანთ უფალთან. და არცა შიში ექნეთ და არცა დამწუხრდნენ ისინი“. (ბაყარა 273-274)

4. სოციალური სტაბილურობა

სოციალური სტაბილურობის ერთ- ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მდიდრების მიერ ღარიბებზე გაცემული სიკეთეა, რომელიც სოციალური სამართლიანობის და საზოგადოებრივი კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. თანამედროვე გაგებით სოციალური სტაბილურობა განაპირობებს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, მაგრამ ეს პირიქით უფროა, საზოგადოებრივი განწყობები, ურთიერთდახმარება, თანადგომა და სიკეთის კეთება ქმნის სოციალურ სტაბილურობას.

რაც შენთვის გსურდეს მეგობრისთვისაც ისურვე

გოქჩე ჩელიქ

საკუთარი თავისთვის რაც გვსურს იგივე რომ სხვასაც ვუსურვოთ, ან კიდევ, რაც საკუთარი თავისთვის არ გვსურს, იგივე რომ არ ვუსურვოთ სხვასაც, რა თქმა უნდა დადებითი მოვლენაა და საზოგადოებაში მეგობრული გარემოს წარმოქმნას უწყობს ხელს. თანამედროვე გაგებით ასეთი მდგომარეობა განმარტებულია, როგორც ემპათია, ანუ როცა საკუთარ თავს სხვის ადგილას ვაყენებთ და შესაბამისად მისი მხრიდან მომდინარე გრძნობებს, ფიქრებსა თუ ქცევებს გაგებით ვეკიდებით.

ემპათიის ჩამოყალიბებას მოერე მხარის მიმართ მეგობრული დამოკიდებულება განაპირობებს. როცა ადამიანი რაიმე პრობლემაში ვარდება ის მოძებნის მეგობარს, რათა თავისი დარდი გაანდოს. მეგობარი მოუსმენ, მის დარდს გაიზიარებს და შეძლებისდაგვარად ეხმარება. რეალური დახმარება რომც ვერ შეძლოს, დარდის გაზი-

არება მაინც ხდება და ადამიანს დარდი უმსუბუქდება. ემპათიკური გაგება ადამიანებს შორის შემწყნარებლობას აყალიბებს. ასეთ დროს ადამიანები გრძნობენ, რომ მეორე მხარისთვის ღირებული არიან, ეს კი ადამიანს ძალიან ამშვიდებს. ემპათიკური გაგება ვისაც გააჩნია საზოგადოებაში განსაკუთრებული ნდობითა და სიყვარულით სარგებლობს. მას ენდობიან და მასთან ურთიერთობას საიამოვნოდ მიიჩნევენ.

გონიერი ადამიანი მეგობრებს არ აწყენინებს, გაუგებს და მათთვის ყოველთვის საიმედო მეგობარი იქნება. ამ დროს მეორე მხარის საუკეთესო თვისებებს უნდა მიექცეს ყურადღება. მეგობრებს შორის ურთიერთგაგება წინა პლანზე უნდა იყოს მაშინაც კი, როცა კონკრეტული საკითხის შესახებ მათი აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა. სხვების დადანაშაულების მაგივრად გაგებას უნდა ვცდილობდეთ და ეს გაცილებით სასარგებლო იქნება. ადამიანების გაკრიტიკება იოლია, მაგრამ იმის გაგება, თუ რატომ მოიქცნენ ასე კონკრეტულ სიტუაციაში რთულია, მაგრამ მეგობრობისა და ურთიერთობისთვის აუცილებელი. ადამიანებს შორის მუდმივ სიყვარულს, პატივისცემას და სიკეთეს ურთიერთგაგება და შემწყნარებლობა განაპირობებს.

„თუ რომელიმე თქვენგანი, რაც საკუთარი თავისთვის სურდეს, მორწმუნე ძმასაც არ უსურვებს, ნამდვილ რწმენას ვერ ეზიარება“. შუამავლის ეს დიდებული ჰადისი მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ და შევინარჩუნოთ ძვირფასი ადამიანები.

ემპათიური გაგებისთვის აუცილებელი არ არის ზუსტად ისეთი რამ შეგვემთხვეს, რაც სხვას შეემთხვა. მთავარია მოვუსმინოთ მეორე მხარეს, გულთან მივიტანოთ, გავუგოთ, მის ადგილას თავი წარმოვიდგინოთ და ა.შ. აქ მთავარია მოვლენის გაგება და არა ზუსტად იგივე მოვლენის საკუთარ თავზე გამოცდა. როდესაც მოპირდაპირე მხარეს მოვუსმენთ და ყველაფერს გავუგებთ ეს ყველაფერი უნდა გამოვხატოთ და თან სწორად უნდა გამოვხატოთ. წინაღმდეგ შემთხვევაში ემპათია არ განხორციელდება. ემპათიას აქვს თვისება ადამიანები ერთმანეთს დაახლოვოს. ემპათიის დროს ადამიანები გრძნობენ, რომ ისინი სხვებისთვის მნიშვნელოვანი არიან და ეს ძალიან ანუგეშებს მათ.

ემპათიის ჩამოყალიბებას გააჩნია შემდეგი დადებითი თვისებები:

მეორე მხარე გრძნობს, რომ მისი გვესმის, ის უფრო გაიხსნება და საუბარი სასიამოვნო გახდება.

თუ რამე არასწორად გავიგეთ, ასეთ დროს საშუალება ჩნდება ყველაფერი ხელახლა ავხსნათ და ზუსტად გავგოთ. ამრიგად ადამიანების შესახებ უფრო მეტს გავიგებთ.

წინასწარი განჯის სურვილი იკლებს და აღმოვაჩენთ, რომ ყველას გაგება არის შესაძლებელი.

ამ ყველაფრის შემდეგ უფრო შინაარსიანი და ახლო მეგობრობა დაიწყება.

აქ ემპათია და სიმპათია ერთიმეორეში არ უნდა აგვერიოს. სიმპათიის შემთხვევაში ჩვენ მოგვწონს მეორე მხარის ქმედება და მხარს ვუჭერთ, მაგრამ ემპათიისას ჩვენ ვცდილობთ გავუგოთ. ემპათია სხვა გრძნობების ან დამოკიდებულებისკენ მიმართული არ არის. სიმპათიის შემთხვევაში კი ადამიანის გრძნობებს, აზრს, დამოკიდებულებებს თავიდანვე ვეთანხმებით და მხარს ვუჭერთ. ემპათიის შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ მეორე პიროვნების შნაგან სამყაროშ შევაღწიოთ და შევისწავლოთ, მაგრამ სიმპათიის დროს ჩვენ მხოლოდ იმ ნაწილს ვიწონებთ და ვადასტურებთ, რაც იმ მომენტისთვის წარმოგვიდგინეს.

და ბოლოს, მეგობრობის გზა სიყვარულზე გადის, ხოლო სიყვარული გაგებას ემყარება. გაგებისთვის კი ემპათიაა საჭირო. რაც მოგვწონს და გვსურს, იგივე უნდა ვისურვოთ მეგობრისთვისაც.

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

ხელგაშლილობის ბოლო ზღვარი- ისარ

სელიმ ოზარსლან

არაბულ ენაში „ისარ“-ი რაიმის ან ვინმეს გამორჩევას ნიშნავს. რაც შეეხება რელიგიურად, ის არის სხვისი სიკეთისა და მოგების საკუთარზე მაღლა დაყენება. ჩვენს ენაში ამ სიტყვის მნიშვნელობას ალბათ თავგანწირვა ჰქვია. ამ ტიპის ქცევა ძალიან დიდ პატივისცემასა და თავგანწირვას საჭიროებს. ეს არის ადამიანის ზნეობის მაღალი საფეხური, როცა ადამიანს სხვისი სიკეთე საკუთარზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია. ყურანში აღნიშნული ტერმინი ოთხჯერაა ნახსენები.

ყურანი ასეთ გამორჩეულ ქცევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ბრძანებს, რომ ასეთი ადამიანები არიან ისინი, რომლებსაც რწმენა გულში ღრმად აქვთ გამჯდარი და უკიდურესად ერთგულნი არიან. ყურანში ნაბრძანებია:

„და რომელთაც იმათზე უწინ ბინა ჰქონდათ დადებული და სარწმუნოება მი-

ღებული, უყვართ ვინც გადასახლდა მათთან. გულში არ ივლებენ არანაირ შურს იმის გამო, რაც იმათ მიეცათ, და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავზე მეტად, თუნდ ესაჭიროებოდეთ. და ვინც სიხარბისგან თავს დაიცავს, სწორედ ისინი არიან ნეტარნი!“ (ჰაშრ 9)

„კეთილწარმატებულნი უპირველესნი მუჰაჯირთაგან და ენსართაგან და რომელნიც მიჰყვნენ მათ სიკეთით, ალლაჰი კმაყოფილია მათგან და ისინი კმაყოფილი არიან მისგან. და მოუმზადა მათ სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინება და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან. სწორედ ესაა უდიდესი წარმატება“. (თევბე 100)

„უეჭველად, ალლაჰმა მიუტევა შუამავალს, მუჰაჯირებსა და ენსართ, რომლებიც მას გაჰყვნენ მძიმე ჟამს, მას მერე, რაც ზოგიერთი იმათგანის გულნი კინაღამ სცდუნდა. შემდეგ შეუნდო მათ. უეჭველად, იგი მათდამი მოწყალეა, მწყალობელია“. (თევბე 117)

ყურანის მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული აიათების მოვლინების მიზეზი შემდეგი მოვლენა გახდა. ნადირთა გვარის დამარცხებისა და ნადავლის ხელში ჩაგდების შემდეგ შუამავალმა მედინელ ენსარებთან თათბირი გამართა,

რათა ნადავლის განაწილების საკითხი გადაეწყვიტათ. აღნიშნული ნადავლის განაწილების ორი ვარიანტი განიხილებოდა: პირველი ის, რომ ნადავლს ენსარებიც და მუჰაჯირებიც თანაბრად გაიყოფდნენ და მუჰაჯირები, როგორც ენსარების ძმები ისევ გააგრძელებდნენ ენსარების სახლებში თავის შეფარებას და ცხოვრებას. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, მთელი ნადავლი მუჰაჯირებს მიეცემოდათ, ისინი კი ენსარების სახლებიდან წავიდოდნენ და თავად დაიწყებდნენ დამოუკიდებლად ცხოვრებას. ენსარებმა უპრეცენდენტო გადაწყვეტილება მიიღეს. მათ მოითხოვეს, რომ მთელი ნადავლი მუჰაჯირებისთვის მიეცათ და მაინც მათთან დარცენილიყვნენ საცხოვრებლად. ამ გადაწყვეტილებით გამოჩნდა, რომ მედინელი ენსარები ზნეობრივად უკვე იმდენად მაღლა იდგნენ, რომ მიუხედავად გაჭირვებისა და დიდი საჭიროებისა, ნადავლი მთლიანად მუჰაჯირებისთვის გაიმეტეს და ამავდროულად მუჰაჯირები საკუთარ სახლებში დაიტოვეს.

„ისარ“-ი ხელგაშლილობის ბოლო წერტილია. ხელგაშლილი ადამიანი ქონების სიყვარულის ტყვეობაში არ ჩავარდება. ფულის სიყვარული ზოგჯერ ადამიანს ისე იმონებს, რომ ადამიანობას აკარგვინებს. როცა ადამიანი ფულს გაიღებს, სხვებს დაეხმარება და ამის გამო არ შეწუხდება,

ის უკვე ხელგაშლილია. ხელგაშლილობა ქონების ფლანგვა არ არის. ქონება და ფული სულაც არ არის ცუდი რამ. ის ხომ ღმერთის წყალობაა და ადამიანებს ის სჭირდებათ. მთავარია მისი სწორად მოხმარება ვიცოდეთ. საჭირო დროს სწორად დახარჯვას ხელგაშლილობა ჰქვია, ხოლო ზედმეტად, ფუჭად დახარჯვას -გაფლანგვა. ყურანში ნაბრძანებია:

„და ნუ იქნები ხელმომჭირნე და ნურც გაშლი მას ბოლომდე ,თორემ იმედგაცრუებული, გაღატაკებული დარჩები!“ (ისრა 29)

შუამავალი გვაფრთხილებდა: „სიძუნწეს ერიდეთ, რადგან თქვენამდელი ხალხები ამის გამო განადგურდნენ“. (მუსლიმ, ბირ, 56)

შუამავალი ასევე გვირჩევდა: „ვისაც ბევრი საქონელი ჰყავს მისცეს მას, ვისაც პირუტყვი არ გააჩნია. ვისაც ბევრი საჭმელი აქვს, მისცეს მას, ვისაც საჭმელი არ აქვს“.

შუამავალი ამგვარი რჩევებითა და მითითებებით ცდილობდა ადამიანებისთვის ერთიმეორეზე ზრუნვა ესწავლებინა და ამავდროულად ისლამის გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

ისლამის მიხედვით ხელგაშლილობა სამი სახისაა. პირველი, როცა ადამიანი

თავისი შესაძლებლობის ნახევარს სხვას მოახმარს, მეორე როცა შესაძლებლობის უმეტეს ნაწილს სხვებზე გასცემს და მესამე,როცა ადამიანი მთელ თავის შესაძლებლობებს სხვებს მოახმარს. ეს უკვე ხელგაშლილობის ბოლო საფეხურია.

ეს უკანასკნელი მხოლოდ ღმერთის კმაყოფილებას ისახავს მიზნად და მაღალი ზნეობის მაჩვენებელია. მუსლიმი ყველა ღვთისმსახურებას თუ სხვა ქმედებას მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით აკეთებს. სხვისთვის გაკეთებული სიკეთეც ამგვარია. მითუმეტეს, როცა ადამიანი სხვის გასაჭირს საკუთარზე მაღლა აყენებს. ამგვარი ქველმოქმედებისა და ხელგაშლილობის საზღაური მხოლოდ ღმერთისგან უნდა მოვილოდინოთ.

ისარს,ანუ ხელგაშლილობის ბოლო საფეხურს,თავის მხრივ სხვადასხვა საფეხურები გააჩნია:

სიცოცხლის გაწირვა. ღვთის გულისათვის, სამშობლოს, ერისა და სარწმუნოებისათვის სიცოცხლის დათმობა „ისარ“-ის უმაღლესი საფეხურია. შაჰიდები და გმირები სწორედ ამ საფეხურს აღწევენ. თანამდებობისა და მდგომარეობის შეწირვა „ისარ“-ის ცალკე საფეხურია. როცა ადა-

მიანი საკუთარ კეთილდღეობას, უზრუნველ ცხოვრებას სხვების გამო წირავს და სხვათა წარმატებას და ბედნიერებას საკუთარზე მაღლა აყენებს. ამის მაგალითებად გამოდგება ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანი თავის ცოდნას ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე სხვებს გაუნაწილებს და უფასოდ ასწავლის. იგივე კატეგორიაში შედის ზექათის გადახდა და სხვა ქველმოქმედება.

ისლამის ისტორია სავსეა მსგავსი მაგალითებით. ჯერ კიდევ მუჰაჯირებისა და ენსარების უღთიერთობა, ის ამაგი და თანადგომა ამის საუკეთესო მაგალითი იყო. თუნდაც ისლამის პირველი ხალიფა, ებუ ბექირი ავიღოთ. ის საკმაოდ მდიდარი იყო, მაგრამ ყველაფერი ისლამის გზაზე დახარჯა და სიკვდილის შემდეგ აღარაფერი დაუტოვებია. როდესაც ჰკითხეს, მემკვიდრეებს რას უტოვებო, მან უპასუხა: „ღმერთს და შუამავალს“.

შუამავლის პერიოდიდადნ კიდევ მარავალი მაგალითის მოყოლა არის შესაძლებელი. მაგალითად: ერთხელ შუამავალმა ერთ-ერთ მორწმუნე მეგობარს შემწვარი ცხვრის ხორცი აჩუქა. მეგობარმა თქვა ეს ხორცი ერთ-ერთ მორწმუნე ძმას უფრო სჭირდება, ვიდრე მეო და მასთან წაიღო. იმანაც თავის მხრივ სხვა უპოვარი

მოძებნა და მასთან მიიტანა. ასე ატარეს ცხვრის ხორცი შვიდ ადგილას და ბოლოს ისევ იმ კაცს მიართვეს, რომელსაც შუამავალმა აჩუქა. შუამავლის თანამედროვე მეგობრები მართლაც მაღალი ზნეობის ადამიანები იყვნენ. ისინი ხომ თვით შუამავალმა აღზარდა.

დღესაც ჩვენ ასეთი მაღალი სულიერების მაჩვენებელი მაგალითები ძალიან გვჭირდება. დღევანდელი რეალობა გვაჩვენებს, რომ ადამიანები ფულის მოხვეჭის მარათონში არიან ჩაბმულნი. ამ ზნელბედობის ჟამს სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია აღვზარდოთ ისეთი თაობები, რომლებიც სხვათა გასაჭირს გულტან მიიტანენ და საკუთარზე მაღლა დააყენებენ. ასევე გვჭირდება თაობა, რომელიც რწმენის, სამშობლოსა და სხვა მაღალი ღირებულებების გამო თავგანწირვას შეძლებენ.

კაცობრიობის გადარჩენა მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი. უნდა აღვზარდოთ ისეთი თაობები, რომლებიც სხვების გასაჭირს საკუთარზე მაღლა დააყენებენ და არა ისეთი, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნებენ.

სხვათა უფლებების დაცვა

მეჰმედ სოისალდი

უსლამში უფლებას ძალიან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ყოველ უფლებას თან ახლავს პასუხიმგებლობაც. ყოველ ადამიანს გააჩნია გარკვეული უფლება და მოვალეობები. ადამიანის ვალდებულებები შესაძლოა ორ ძირითად ნაწილად გაიყოს; ღვთისადმი ვალდებულებები და სხვათა მიმართ ვალდებულებები.

ღვთის წინაშე ჩვენი ვალდებულებები ძირითადად შემდეგია: ღვთისადმი რწმენა, მისი არსებობისა და ერთადერთობის დაჯერება, მისდამი ღვთისმსახურება და თაყვანისცემა, მისი ბრძანებების შესრულება და აკრძალულებზე თავის არიდება.

ადამიანის წინაშე ჩვენი უფლებები და ვალდებულებები ძირითადად სიცოცხლეს, სხეულს, ღირსებას, ნამუსს, რწმენას, ქონებას და სხვა მსგავს ცხოვრებისეულ ფაქტორებს ეხება. ყველა ის ქმედება, რო-

მელიც ამათგან რომელიმეს მიმართ განხორციელდება და მის რაღაც ფორმით დაზიანებას გამოიწვევს ადამიანის უფლების დარღვევაა.

ყურანში ხშირადაა ნახსენები ადამიანთა უფლებები და ასევე ხშირია ბრძანებები, რომლებიც მათი დაცვის მოწოდებას შეიცავს. ყურანი ბრძანებს სხვათა უფლებების პატივისცემას და კრძალავს ამ უფლებების დარღვევას.

ადამიანის უფლებების დარღვევა ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: პირველი ეს არის ადამიანის სულიერი და მატერიალური საკუთრების რაიმე ფორმით ხელყოფა. მეორე კი ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანს არ აკუთვნებენ იმას, რაც მას რელიგიურად, მორალურად და კანონიერად ეკუთვნის.

ადამიანის უფლებების ხელყოფის მაგალითებია მოპარვა, ძარცვა, ზომასა და წონაში მოტყუება, მიბარებულის ხელყოფა, აზარტული თამაშები და ყველა ის მეთოდი, რითიც ადამიანები ერთიმეორის ქონებას არაკანონიერი გზებით ითვისებენ.

ყურანი გმობს ადამიანთა უფლებების ასე ხელყოფას და ბრძანებს:

„არაკანონიერად არ შეუჭამოთ ერთმანეთს ქონება და არ ჩაიდინოთ შეგნებულად ეს; ქრთამი არ მისცეთ მსაჯულთ, რათა ხალხს ქონების ერთი ნაწილი შეუჭამოთ უსამართლოდ“. (ბაყარა 188)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ერთმანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთთანხმობით. და თავი არ მოიკლათ. უეჭველად, ალლაჰი მოწყალეა თქვენდამი!“ (ნისა 29)

ცილისწამება, ლანძღვა, ცუდი მეტსახელის შერქმევა, ნაკლის ძებნა, ჭორის გავრცელება და სხვა მსგავსი არასასიამოვნო ქმედებებიც ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა.

ღმერთი ყურანში ამ ტიპის უფლებების დარღვევისგან თავის არიდებისკენ მოგვიწოდებს:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავსებით მოერიდეთ ვარაუდს, რამეთუ ზოგი ვარაუდი ცოდვაა. და არ გამოიკვლიოთ ერთიმეორის შეცდომები და არ გაკილოს ზურგსუკან თქვენგან ზოგმა სხვები. განა სურს თქვენგან რომელიმეს, რომ მიირთვას ხორცი თავისი მკვდარი ძმისა? რა თქმა უნდა ვერ აიტანთ მას. მაშ, გეშინოდეთ

ალლაჰის! უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია“.“ (ჰუჯურათ 12)

აქ წარმოდგენილ აიათში ნათლად ჩანს, რომ ღმერთი კრძალავს ყველა სახის უფლებების დარღვევას ბრძანებს, რომ ეს უფლებების გავითვალისწინოთ. ადამიანის უფლება განსაკუთრებულ ადგილს უკავებს და მისი გათვალისწინება აუცილებელია.

ადამიანის უფლებების ნებისმიერი ფორმით ხელყოფა ბოროტებაა და ამის ჩამდენთა მიმართ ღვთიური სასჯელია მოსალოდნელი.

„მაგრამ პასუხისმგებლობა იმათზეა, რომელნიც უსამართლოდ ექცევიან ხალხს და უსამართლოდ აღვირახსნილობენ დედამიწაზე. სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი!“(შურა 42)

„ჩვენ შიშს ჩავთესთ ურწმუნოთა გულებში იმისათვის, რომ თანაზიარად გაუხადეს ალლაჰს ის, რაზეც მტკიცებულება არ მოუვლენია. ცეცხლია მათი თავშესაფარი, და რა საშინელია სამყოფელი უსამართლოთა“. (ალი იმრან 151)

„ვფიცავ, ურწმუნონი არიან, რომელთაც თქვეს: უეჭველად, ალლაჰია მესიჰი, შვი-

ლი მარიამისა; და თქვა მესიჰმა: ისრაილის შვილნო, თაყვანი ეცით ალლაჰს, ჩემს ღმერთსა და თქვენს ღმერთს. უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუხდის, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია. და არ ეყოლებათ უსამართლონთ შემწენი“. (მაიდე 72)

ღმერთი ადამიანის უფლებების სახით მკაცრ საზღვრებს აწესებს და მათი ხელყოფა ღმერთის მიერ დაწესებული საზღვრების ხელყოფაა, რაც დიდი ცოდვაა და შესაბამისად დიდ სასჯელს იმსახურებს.

შუამავალიც დიდ მნიშნელობას ანიჭებდა ადამიანის უფლებებს მუდმივად აფრთხილებდა მორწმუნეებს თავი შეეკავებინათ ისეთი ქმედებისგან, რაც სხვათა უფლებების დარღვევას გამოიწვევდა. მრავალ ჰადისში ნათლადაა აღწერილი თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ადამიანის უფლებების დარღვევას როგორც ამქვეყნად, ისე- საიქიოში. შუამავალი ბრძანებდა: „ვინც ადამიანებს არ შეიწყნარებს, არც თავად იქნება შეწყნარებული ღმერთის მხრიდან“. ბუჰარი, ედებ 18)

შუამავალი გვასწავლის თუ როგორი უნდა იყოს კარგი მუსლიმი: „არავინ იქნება სრულყოფილი მორწმუნე, თუ რაც საკუთარი თავისთვის სურდეს მორწმუნე

ძმასაც არ უსურვა და თუ მისი მეზობელი მისგან უსაფრთხოდ არ არის.“

ვინც ადამიანის უფლებებს ხელყოფს მუფლისი ეწოდება. ებუ ჰურაირას გადმოცემით ერთხელ შუამავალი მეგობრებს ეკითხება:

„ვინ არის მუფლისი, იცით?

ჩვენს შორის მუფლისი ისაა ერთი გროშიც და რაიმე ქონებაც რომ

არ გააჩნია, - უპასუხეს მეგობრებმა.

ამის შემდეგ შუამავალმა ასე განმარტა: ჩემს მიმდევრებს შორის მუფლისი ისაა, ვინც განკითხვის დღეს ისეთი წარსდგება, რომ ნამაზი, მარხვა ზექათი, ყველაფერი შესრულებული ექნება, მაგრამ ამავდროულად ისეთი დანაშაულები და ცოდვები ექნება ჩადენილი, როგორიცაა ადამიანების ლანძღვა-გინება, ადამიანის სისხლის დაღვრა, სხვისი ქონების მიტაცება და მრუშობის ცილისწამება.

ასეთ შემთხვევაში მის მიერ შესრულებული ღვთისმსახურების მადლი აიღება და მათ მიეცემათ, ვისაც მან დაუშავა. თუ

მისი მადლი საამისოდ არ ეყოფა, მაშინ მათ ცოდვები მოეხსნებათ და უფლებების დამრღვევს მიეცემა. ამრიგად მთელი მისი მადლი წავა და ცოდვებით აივსება. აი ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი მუფლისი ჯოჯოხეთში წავა.

ისლამი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ადამიანის უფლებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ღმერთი ბრძანებს, რომ ადამიანს ყველა ცოდვას მიუტევებს, თუ ის გულწრფელად მოინანიებს, მაგრამ ეს ადამიანის უფლებების დარღვევას არ ეხება.

შაჰიდებს ყველა ცოდვა მიეტევებათ, ამგარმ ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები -არა. გამომდინარე აქედან ყოველი მუსლიმი ძალიან ყურადღებით და გულისხმიერებით უნდა მოეკიდოს ადამიანის უფლებებს. ჩვენ ხშირად უნდა მივუტევოთ ერთმანეთს და პატიება ვთხოვოთ.

ადამიანის უფლებებზე დღეს ყველაზე ხშირად საუბრობენ. ამის მიუხედავად არსებულ პრობლემას ყოველდღიურ ცხოვრებაში ისევ ვაწყდებით. ცხადია ადამიანის უფლებების დაცვა მხოლოდ ფურცლებზე რჩება.

ისლამში ადამიანის უფლებები გულისხმობს, რომ ადამიანი ღვთის გაჩენი-

ლია, მისი საკუთრებაა და მისგანვე დაცულია. ასევე კატეგორიულადაა გაცხდებული, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა აუცილებლად დასჯადია.

დღეს ზოგი ადამიანი ფულის მოხვეჭის მცდელობაშია და საერთოდ ავიწყდება სხვა ადამიანები, მათი უფლებები. ირგვლივ გამეფებულია დაუნდობლობა და უმსგავსო შეჯიბრი. როცა ადამიანი თავს ღვთის მონად მიიჩნევს მან ეს ვალდებულება უნდა შეასრულოს კიდეც. ვისაც სწამს ღმერთისა ის ვალდებულია იცხოვროს ღმერთის მიერ დადგენილი კანონების შესაბამისად.

სამწუხაროდ ადამიანები ხშირად არ ფიქრობენ ამაზე და ისე სჩადიან ბოროტებას. მათ ავიწყდებათ, რომ ვისი უფლებებიც დაარღვიეს ის ღმერთის გაჩენილი ადამიანია და მის უფლებებს ღმერთი იცავს.

არადა სინამდვილეში ამის გაგება ძალიან ადვილი უნდა იყოს. ვისაც არ უნდა ჰკითხო ყველა გიპასუხებს, რომ ადამიანი ღმერთის გაჩენილია და უსამართლობა არავის მიმართ არ არის სწორი. თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგება, სამწუხაროდ ადამიანებს ავიწყდებათ ეს, ემონებიან თავიანთ ეგოისტურ სურვილებს და თითქოს

არაფერიო ისე ხელყოფენ სხვათა უფლებებს. სამწუხაროდ ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ სამართლიანობაც, საიქიოც და ღვთიური სასჯელიც.

შუამავალი ხშირად აფრთხილებდა ადამიანებს არ ყოფილიყვნენ მოძალადე: ის გვირჩევდა: „მოერიდეთ დაჩაგრულის წყევლას, რადგან მის ვედრებასა და ღმერთს შორის ფარდა არ არის“.

და ბოლოს, ღმერთი გვიბრძანებს ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ ჩვენი უფლება-მოვალეობანი. ჩვენ უნდა შევასრულოთ ღვთის წინაშე ვალდებულებები და ასევე უნდა დავიცვათ ადამიანთა მიმართ არსებული უფლება-მოვალეობები. უნდა მოვთოკოთ ეგოისტური სურვილები და სხვას არ გავუკეთოთ ისეთი რამ, რასაც არ ჩვენთვის ვისურვებდით. ყველა ადამიანი სიცოცხლე, ქონება, ნამუსი და ღირსება წმინდად უნდა მიგვაჩნდეს და მყარად გვჯეროდეს რომ ხელშეუხებელია.

შეცდომის გამოსწორება და ბოდიშის მოხდა

იბრაჰიმ ემიროღლუ

წინაპრები ამბობდნენ: „შეუცდომელი არავინაა“. ბუნებრივია მუსლიმი, როგორც ადამიანი ამ ზოგადი ფორმულირების ფარგლებშია. ეს შუამავალმაც დაადასტურა და თქვა: „ყველა ადამიანი ცდება“. ეს არის ადამიანის ბუნებრივი რეალობა. ჰადისის გარძელებაში ვკითხულობთ: „ვინც ცდება მათგან საუკეთესო ისაა, ვინც მოინანიებს“. შუამავალი ადამიანებს ურჩევდა აღარ გაეგრძელებინათ შეცდომები და ჩადენილი მოენანიებინათ. ის ხშირად ამბობდა, რომ ღმერთი მიმტევებელია, მოწყალეა და მონანიება ამდენად აუცილებელია.

კარგი მუსლიმა მუსლიმმა დაშვებული შეცდომა მცირედ არ უნდა მიიჩნიოს და უმალ გამოსწორებს უნდა შეეცადოს. მუსლიმს არ უხდება სხვათა შეცოდებების ანალიზი, მან საკუთარი შეცდომები უნდა გაანალიზოს და ყოველთვის ეცადოს, რომ აღარ გაიმეოროს. ადამიანის ერთ-ერთი გა-

მორჩეული თვისებაა დაიწუნოს საკუთარი საქციელი და გამოასწოროს. შეცდომების გაგრძელება და მისი გამართლების მცდელობა ცალკე შეცდომაა, ამიტომ ადამიანი მუდმივად შეცდომების გამოსწორებაზე უნდა ზრუნავდეს. შეცდომების კლასიფიკაციას და დახარისხებას ჯობია მაშინვე მოვინანიოთ და ღმერთის უსაზღვრო წყალობის იმედი ვიქონიოთ. სინამდვილეში მუსლიმმა რომ შეცდომა უმნიშვნელოდ ჩათვალოს შეუძლებელია. ის ყველა შეცდომაზე წუხს და გამოსწორების გზებს ეძებს.

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა. მას აქვს უნარი ისწავლოს, აღიზარდოს და სოციალური გარემოში არსებობისთვის საჭირო ცოდნა დააგროვოს. თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ბოდიშის მოხდაა.

ბოდის მხოლოდ უმცროსები ან ხელქვეითები არ იხდიან. ბოდიშის მოხდა იმას ევალება, ვინც დამნაშავეა და ვინც არ უნდა იყოს დამნაშავე, რაც არ უნდა მაღალი სტატუსის მატარებელი იყოს, სახელმწიფოც კი, თუ დამნაშავეა ბოდიშის მოხდა მისი ვალია.

ბოდიშის მოხდა ადამიანს არ ამცირებს, პირიქით, უფრო ამაღლებს. შუამავალი ადამიანებს არასოდეს ცუდად არ ეპყრობოდა, მითუმეტეს განზრახ. ერთხელ ქადაგებისას მან მრევლს ასე მიმართა: „თუ რომელიმე თქვენგანზე დამირტყამს აგერ ჩემი ზურგი, მოვიდეს და დამარტყას; თუ ვინმეს ჩემგან ასაღები აქვს, აგერ ჩემი ქონება, მოვიდეს და აიღოს“.

რა სარგებლობა მოაქვს ბოდიშის მოხდას? უპირველეს ყოვლისა ბოდიშის მოხდა ადამიანური საქციელია და ის კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს, რომ ადამიანები ვართ. ის გამოხატავს, რომ შეცდომა ადამიანურია და ჩვენ ამჯერად ეს ადამიანური შეცდომა დავუშვით, რომელსაც ვნანობთ. ის ასევე გვაგრძნობინებს, რომ ჩვენ საკუთარ თავს სხვაზე მაღლა არ ვაყენებთ. ბოდიშის მოხდა ასევე დაგვაფიქრებს შეცდომაზე და გააქტიურებს გრძნობას, რომელიც იმავე შეცდომის დაშვებისგან დაგვიცავს. ბოდიშის მოხდა გვაიძულებს ვიყოთ მართლები. ის გვაიძულებს სხვა ადამიანების გრძნობებს და უფლებებს გავუფრთხილდეთ. როცა ბოდიშს ვუხდით ეს ნიშნავს, რომ ადრესატი ჩვენთვის ღირებული ადამიანია. ის ამას იგრძნობს და ანალიგიური პატივისცემით განიმსჭვალება ჩვენს მიმართ. სოციალური წესრიგის საფუძველი ხომ ურთიერთპატივისცემასა და ურ-

თიერთსიყვარულზეა აგებული. შეცდომის მერე ბოდიშის მოხდა სოციალური სტაბილურობისა და წესრიგისთვის დადებითი ეფექტის მატარებელია. ჩვენი რელიგიაც უდიდეს მნიშნელობას ანიჭებს მონანიებას. ადამიანი, რომელმაც იცის მონანიება და ღმერთზე მიტევების თხოვნა, მან ასევე უნდა იცოდეს ბოდიშის მოხდაც.

ცხოვრებას თ დავაკვირდებით ჩვენ მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ვიხდით ბოდიშს. მაგალითად თუ ვინმეს შემთხვევით მხარი გავკარით, ან ფეხზე დავაბიჯეთ, ან ტანსაცმელზე რამე გადავასხით და ა.შ. თუმცა ისეთ შემთხვევებში, როცა ადამიანის კუთვნილება მივითვისეთ, სიცოცხლე გავუმწარეთ, მომავალი მოვუსპეთ, ბოდიშის მოხდა აზრადაც არ მოგვივა.

ჩვენს რელიგიაში მონანიებას დიდი მნიშნელობა ენიჭება. მონანიება ერთგვარი ბოდიშია ჩადენილის გამო და პირობა იმისა, რომ შეცდომა აღარ განმეორდება.

ეშმაკი მედიდურობამ დაღუპა. შეცდომა არ აღიარა, არ მოინანია და სამუდამოდ დაწყევლილ იქნა.

გამომდინარე აქედან, უპირველეს ყოვლისა ვეცადოთ, რომ შეცდომა არ დავუშვათ. თუ უნებურად შეცდომა დავუშვით, ან

უსამართლოდ მოვიქეცით მაშინვე უნდა ვინანოთ და ბოდიში მოვიხადოთ. ბოდიშის მოხდას სიამაყე და პატივმოყვარეობა უშლის ხელს. ისინი უნდა დავამარცხოთ, რათა ერთიანობა და სიმშვიდე შევინარჩუნოთ.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

მადლიერება ადამიანს ძალიან შეეფერება

ნიჰათ უზუნ

ადამიანი ღმერთის მადლიერი უნდა იყოს. ამის აუცილებლობის უმნიშვნელოვანესი მიზეზი ისაა, რომ ღმერთმა ის „მონად“ გააჩინა. ღმერთმა გააჩინა ადამიანი და მსახურება დაავალა. ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობა გამჩენსა და გაჩენილს შორის ურთიერთობის ფარგლებში ხორციელდება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი ღვთის წინაშე უკიდურესად უმწეოა და სრულიად მასზეა დამოკიდებული. ამდენად უმწეო და უძლური ადამიანი გამჩენის წინაშე მუდმივად მადლიერების მდგომარეობას უნდა ინარჩუნებდეს. ასევე ადამიანი ვალდებულია მადლობელი იყოს სხვა ადამიანებისა და სხვა არსებების მიმართაც. ამ ყველაფრისთვის კი ის მადლობას უნდა სწირავდეს გამჩენს.

მადლიერება არაბულად არის „შუქურ“. ეს არის წყალობაზე ფიქრი და მისი გამოხატვა. მისი საპირისპირო კი უმადურობა და ურწმუნოებაა.

მადლიერების გამოხტვა ძირითადად სამი სახისაა: პირველი, გულისმიერი მადლიერება. ეს არის მუდმივი ფიქრი ღვთიური წყალობის შესახებ და მადლიერებით განმსჭვალვა. მეორე არის ენით გამოხატული მადლიერება. ეს არის ღვთისადმი მადლიერების აშკარად გამოხატვა, მადლობის თქმა, ხსენება, განდიდება. მესამე კი სხვა ორგანოებით გამოხატული მადლიერებაა. ეს უკანასკნელი ყოველი ორგანოს ფუნქციის ფარგლებში გამოხატული მადლიერებაა.

მადლიერება მოიცავს ადამიანის მიერ მუდმივ მგრძნობელობას ღვთიური წყალობისადმი. ეს არის გრძნობა, როდესაც ადამიანი ყველა ფეხის ნაბიჯზე გრძნობს, რომ ღმერთი მას ათვალყურებს და ადამიანი ყოველი ამოსუნთქვისთვის მადლიერია.

ყურანში ხშირადაა ნახსენები მადლიერება და ეს სიხშირე მის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ღმერთს სურს გაიზაზროს ადამიანმა ის სიკეთე, რაც ღმერთმა მას უწყალობა და მადლიერი იყოს. ამასთანავე ადამიანი მუდმივად უნდა გრძნობდეს საკუთარ უმწეობას და გამჩენზე დამოკიდებულებას. სანამ ადამიანი ღვთისადმი მადლიერებას გამოხატავს ყოველთვის ეზიარება ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ბედნიერებას. ცხოვრების ბოლოს კი ეს

მადლიერება უფრო დაუფასდება. წარმოგიდგენთ რამოდენიმე აიათს, სადაც ღმერთის მიმტევებლობასა და მოწყალებაზეა ყურადღება გამახვილებული:

„და თუ ალლაჰის მოწყალებათა ჩამოთვლას დაიწყებთ, ვერ დათვლით. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია!“ (ნაჰლ 18)

„და გიბოძა თქვენ ყველაფერი, რაც შესთხოვეთ მას. და თუ ალლაჰის წყალობათა ჩამოთვლას დაიწყებთ, ვერ დათვლით. უეჭველად, ადამიანი უსამართლოზე უსამართლო და უმადურია “. (იბრაჰიმ 34)

„მაშ, ალალად და კეთილად მიირთვით, რაც რამ ალლაჰმა სარჩოდ გიბოძათ და იყავით მადლიერნი ალლაჰის წყალობის, თუკი მხოლოდ მას ეთაყვანებით თქვენ!“ (ნაჰლ 114)

თაყვანისცემა და მადლიერება ყურანის მიერ შექმნილი იდენტობის განუყოფელი წყვილია. მადლიერება თაყვანისცემის საფუძველშია და ამავდროულად თაყვანისცემა მადლიერებითაც გამოიხატება. მადლიერება არის მოწოდება, რომ ადამიანმა ღვთის რწმენის შემდეგ უფრო მეტი დაინახოს და ღვთიური წყალობის მიმართ მადლიერება გამოხატოს. შუამავლები ყვე-

ლაზე დიდი მორწმუნენი იყვნენ და ისინი მუდმივად გამოხავადნენ მადლიერებას. (იხ. ნაჰლ 121; ისრა 3)

„და ვფიცავ, ჩვენ მივეცით ლუყმანს სიბრძნე: რომ ალლაჰისთვის მადლობა აღევლინა! და ვინც მადლიერებას აღავლენს, მხოლოდ თავის სასიკეთოდ აკეთებს. და ვინც უმადური იქნება, იცოდეს, რომ უეჭველად, ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!“ (ლოქმან 12)

„გაიღიმა მისი სიტყვების გამგონმა და თქვა: „ღმერთო ჩემო! შთამაგონე, რომ მადლიერი ვიყო იმისთვის, რაც მიბოძე მე და ჩემს მშობლებს, და რომ ვჰქმნა კეთილი საქმე, რომელსაც მოიწონებ. და შემიყვანე შენს მოწყალებაში მართლმორწმუნე მსახურებთან ერთად!“ (ნემლ 19)

„მაშ, თაყვანი ეცით მხოლოდ ალლაჰს და იყავი მადლიერთაგანი!...(ზუმერ 66)

ყურანის აიათებიდან ჩანს, რომ ღმერთმა ადამიანებს ურიცხვი წყალობა არგუნა და მათგან მადლიერების გამოხატვას ითხოვს. უფრო მეტიც, თუ ისინი მადლიერებას გამოხატავენ ღმერთი მათ კიდევ უფრო მეტ წყალობას არგუნებს საიქიოში. ეს ყველაფერი ნათლადაა განმარტებული შემდეგ აიათში:

„და აკი, გაუწყათ ღმერთმა თქვენ: „თუ ნამდვილად მადლიერნი იქნებით , უთუოდ, წყალობას გიმრავლებთ და თუ უმადურნი იქნებით, უეჭველად, სასჯელი ჩემი საშინელია!“ (იბრაჰიმ 7)

ღვთისადმი მადლიერების გამოხატვა ყველაზე მეტად ეშმაკს არ ესიამოვნება, რადგან მადლიერება მუსლიმობის თვისებაა და ამ დროს მუსლიმის გულში სატანის მიერ დაგებული ხაფანგები უმოქმედოდ დარჩება. არადა ეშმაკს დაფიცებული აქვს, რომ ადამიანს უმადურ არსებად აქცევდა.

„მიუგო : რაკი ჩემი გზიდან გადაცდენა ინებე, უთუოდ, ჩავუსაფრდები მე მათ შენს სწორ გზაზედ ;

მერე, უთუოდ, გამოვეცხადები წინიდან და უკნიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან . და ვერ ჰპოვებ მათგან უმეტესს მადლიერს“. (არაფ 16-17)

ზოგი ადამიანი ეშმაკის ხაფანგში უნდა იყოს გაბმული, რადგან მადლიერების გამოსახატად რაღაც დიდი სურვილების ასრულებას, ან დიდი განსაცდელისგან თავის დაღწევას ელოდება. არადა უბრალოდ რომ დაფიქრდეს ადამიანი, უმალ მიხვდება, რომ მისი სიცოცხლის ყოველი წამი მად-

ლიერების მიზეზია. სიცოცხლე, ჯანმრთელობა, გონება, გრძნობები, ჰაერი, რომელსაც სუნთქავს და მრავალი სხვა წყალობა, რომელსაც ვერც კი ჩამოვთვლით. ამ წყალობათაგან ნებისმიერი ცალკე იმსახურებს უსაზღვრო მადლიერებას.

ზოგი ადამიანი, რომელსაც მოვლენების ანალიზი არ შეუძლია, ხელთ არსებულ წყალობას ვერც კი ამჩნევს და მხოლოდ მაშინ იგრძნობს მათ ფასს, როდესაც ხელიდან გამოეცლება. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ცხოვრების ნებისმიერი წამი გამოცდაა და ამ გამოცდაზე ყოველთვის ორი არჩევანია. ყურანში ნაბრძანებია:

„უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ადამიანი შეწყვილებული ერთი წვეთი ნარევისაგან, გამოვსცდით მას, ამიტომაც დავუდგინეთ სმენა და მხედველობა.

უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ იგი ჭეშმარიტ გზაზე, მაგრამ მას შეუძლია იყოს მადლიერი ან უმადური“. (ინსან 2-3)

ყურანში ასევე ნაბრძანებია:

„და, უეჭველად, ჩვენ გცდით თქვენ ცოტა შიშითა და შიმშილით, ქონების, სულთა და ნაყოფთა ნაკლებობით. და შენ ახარე მომთმენთ,“ (ბაყარა 155)

„ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს. მისი იქნება რა სიკეთესაც მოიხვეჭს და მის წინააღმდეგ, რა ავიც მოიხვეჭოს. ღმერთო ჩვენო! ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვავიწყდა ან შევცდით! ღმერთო ჩვენო! არ გვატვირთო მძიმე ტვირთი, როგორც იმათ ატვირთე, ვინც ჩვენ უწინარეს იყო!... ღმერთო ჩვენო! არ დაგვაკისრო ის, რისი ძალაც არ შეგვწევს და მოგვიტევე ჩვენ, შეგვინდე და შეგვიწყალე! შენ ხარ მბრძანებელი ჩვენი და დაგვეხმარე ურწმუნო ხალხის წინაშე!“ (ბაყარა 286)

ღვთიურ გამოცდას ის ვერ აბარებს, ვინც მადლიერი არ არის. ვინც დააფასებს ღვთიურ წყალობას და მადლიერებას გამოხატავს ნამდვილი ადამიანისა და ჭეშმარიტი მორწმუნის მდგომარეობას მიაღწევს, რომელიც ადამიანთათავის განსაკუთრებით საპატიო მდგომარეობაა.